საქართველოს მთავრობის

დადგენილება №498

2025 წლის 10 ნოემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გასაწევი მომსახურების სახეების, საფასურის ოდენობისა და მომსახურების პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 იანვრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 27.01.2026წ.

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გასაწევი მომსახურების სახეები, საფასურის ოდენობა და მომსახურების პირობები.“.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 იანვრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 27.01.2026წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გასაწევი მომსახურების სახეები, საფასურის ოდენობა და მომსახურების პირობები

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 იანვრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 27.01.2026წ.

მუხლი 1. რეგულირების სფერო

დადგენილება განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის (შემდგომში – სასწავლო ცენტრი) მიერ გასაწევი მომსახურების სახეებს, საფასურის ოდენობასა და მომსახურების პირობებს.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 იანვრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 27.01.2026წ.

მუხლი 2. მომსახურების სახეები

1. სასწავლო ცენტრის მიერ თბილისის ადმინისტრაციულ შენობაში გასაწევი მომსახურების სახეებია:

ა) ტესტირების, აგრეთვე საკვალიფიკაციო და სასერტიფიკატო გამოცდის ორგანიზება და ადმინისტრირება;

ბ) ტესტის შექმნისა და მისი მოქმედ კანონმდებლობასთან შემოწმების მომსახურება;

გ) ტრენინგის, სამუშაო შეხვედრისა და კონფერენციისათვის ტექნიკური მხარდაჭერისა და ორგანიზების მომსახურება;

დ) ტრენინგისა და სასერტიფიკატო სწავლების ადმინისტრირება.

2. სასწავლო ცენტრის ტერიტორიულ ორგანოში – ყვარლის სასწავლო ცენტრში გასაწევი მომსახურების სახეებია:

ა) ტრენინგის, ტესტირების, სერტიფიცირების, რესერტიფიცირების, საკვალიფიკაციო გამოცდის, სამუშაო შეხვედრისა და კონფერენციისათვის ტექნიკური მხარდაჭერისა და ორგანიზების მომსახურება;

ბ) სასწავლო-საცხოვრებელი კომპლექსით მომსახურება.

3. სასწავლო ცენტრის ტერიტორიულ ორგანოში – სააკაძის სასწავლო ბაზაზე გასაწევი მომსახურების სახეებია:

ა) ტრენინგის, ტესტირების, სერტიფიცირების, რესერტიფიცირების, საკვალიფიკაციო გამოცდის, სამუშაო შეხვედრისა და კონფერენციისათვის ტექნიკური მხარდაჭერისა და ორგანიზების მომსახურება;

ბ) სასწავლო-საცხოვრებელი კომპლექსით მომსახურება.

4. სასწავლო ცენტრის მიერ გასაწევი მომსახურების სახეა, აგრეთვე, გასვლითი ტრენინგების (გარდა სასწავლო ცენტრის ტერიტორიულ ორგანოებში ჩასატარებელი ტრენინგებისა), ონლაინტრენინგების, დამკვეთის ტერიტორიაზე ჩასატარებელი ტრენინგების, ტესტირების, მათ შორის, ონლაინტესტირების პროცესის ადმინისტრირება.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 იანვრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 27.01.2026წ.

მუხლი 3. მომსახურების საფასურების ოდენობა

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურების ოდენობა განსაზღვრულია №1 დანართით, მათ შორის:

ა) ტესტირების, ტრენინგის, სამუშაო შეხვედრის ორგანიზებისა და ადმინისტრირების საფასური – №1.1 ცხრილით;

ბ) ტესტის შექმნის მომსახურების საფასური – №1.2 ცხრილით;

გ) ტრენინგებისთვის/სამუშაო შეხვედრებისთვის ტექნიკური მხარდაჭერისა და ორგანიზების მომსახურების საფასური – №1.3 ცხრილით.

2. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის ოდენობა განსაზღვრულია №2 დანართით, მათ შორის:

ა) ტრენინგის, ტესტირების, სამუშაო შეხვედრისა და კონფერენციისათვის ტექნიკური მხარდაჭერისა და ორგანიზების მომსახურების საფასური – №2.1 ცხრილით;

ბ) სასწავლო-საცხოვრებელი კომპლექსით მომსახურების საფასური – №2.2 ცხრილით.

3. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის ოდენობა განსაზღვრულია №3 დანართით, მათ შორის:

ა) ტრენინგის, ტესტირების, სამუშაო შეხვედრისა და კონფერენციისათვის ტექნიკური მხარდაჭერისა და ორგანიზების მომსახურების საფასური – №3.1 ცხრილით;

ბ) სასწავლო-საცხოვრებელი კომპლექსით მომსახურების საფასური – №3.2 ცხრილით.

4. მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასურის ოდენობა განსაზღვრულია №4 დანართით.

5. ამ დადგენილების დანართებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის ოდენობა განსაზღვრულია დამატებული ღირებულების ჩათვლით.

მუხლი 4. მომსახურების პირობები

1. ორგანიზაცია, რომელიც სასწავლო ცენტრის მომსახურების შესყიდვას გადაწყვეტს (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია), ვალდებულია, შესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნა სასწავლო ცენტრს წერილობით წარუდგინოს. მოთხოვნა უნდა იყოს მკაფიო და შეესაბამებოდეს სასწავლო ცენტრის საქმიანობის სფეროს; მასში ნათლად უნდა იყოს აღწერილი ვიზიტის მიზანი და მომსახურების პირობა.

2. სასწავლო ცენტრი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილ მოთხოვნას მიღებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს. სასწავლო ცენტრი უფლებამოსილია:

ა) დააზუსტოს მომსახურების პირობები და ხანგრძლივობა;

ბ) მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან განმარტება იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი მოთხოვნა არ არის სრულყოფილი;

გ) უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე, თუ მოთხოვნა სცდება სასწავლო ცენტრის უფლებამოსილებას ან ტექნიკურ შესაძლებლობებს ან ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

3. სასწავლო ცენტრსა და შემსყიდველ ორგანიზაციასთან გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული დეტალური პირობები განისაზღვრება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

4. ამ დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდა განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის სასწავლო ცენტრის შესაბამის სახაზინო კოდზე ჩარიცხვის გზით.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 იანვრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 27.01.2026წ.

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 იანვრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 27.01.2026წ.

ცხრილი №1.1

ტესტირების, ტრენინგის, სამუშაო შეხვედრის ორგანიზებისა და ადმინისტრირების საფასური

№	მომსახურების დასახელება	ერთეულის დასახელება	ერთეულის ღირებულება (ლარი)	
			სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისთვის	სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, გარდა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა
1	ტესტირება – 1.5 საათის ხანგრძლივობის	მონაწილე	5	6
2	ტესტირება – 2 საათის ხანგრძლივობის	მონაწილე	7	8.5
3	ტესტირება – 3 საათის ხანგრძლივობის	მონაწილე	9	11
4	ტესტირება – 3 საათზე მეტი ხანგრძლივობის	მონაწილე	12	14.5
5	ტესტირება ზოგად უნარებში	მონაწილე	8	10
6	ტესტირება ქართულ ენაში	მონაწილე	21	25.5
7	ტესტირება (ტრენინგის დროს ჩასატარებელი)	მონაწილე	12	14.5

8	ტესტირების კოორდინატორის მომსახურება	დღე	100	120
9	უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სასერტიფიკატო გამოცდა/რესერტიფიცირება	მონაწილე	400	480

ცხრილი №1.2 ტესტის შექმნის მომსახურების საფასურები				
№	მომსახურების დასახელება	ერთეულის დასახელება	ერთეულის ღირებულება (ლარი)	
			სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისთვის	სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, გარდა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა
1	ტესტური დავალების შექმნა	ცალი	35	42
2	ტესტური დავალების შექმნა ზოგად უნარებში	ცალი	40	48
3	ტესტური დავალების შემოწმება მოქმედ კანონმდებლობასთან	ცალი	6	7.5
4	ქართული ენის მართლწერის ტესტის საფუძველზე შესრულებული ნაშრომის შეფასება	ცალი	15	18
5	წერითი დავალების შექმნა	ცალი	250	300
6	წერითი დავალების საფუძველზე შესრულებული ნაშრომის შეფასება	ცალი	100	120
7	საგამოცდოდ შექმნილი წერითი დავალების შემოწმება/რედაქტირება	ცალი	50	60

ცხრილი №1.3 ტრენინგების/სამუშაო შეხვედრებისთვის ტექნიკური მხარდაჭერისა და ორგანიზების მომსახურების საფასური				
№	მომსახურების დასახელება	ერთეულის დასახელება	ერთეულის ღირებულება (ლარი)	
			სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისთვის	სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, გარდა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა

1	აუდიტორია 51–80 პირისთვის	დღე	800	960
2	აუდიტორია 26–50 პირისთვის	დღე	600	720
3	აუდიტორია 16–25 პირისთვის	დღე	400	480
4	აუდიტორია 15 პირისთვის	დღე	350	420
5	კომპიუტერული აუდიტორია 1 პირისთვის	დღე	50	60
6	ტრენერის მომსახურება	საათი	100	120
7	საკანცელარიო მასალა	მონაწილე	12	15
8	სახარჯი/სასწავლო მასალა	მონაწილე	45	54
9	ყავა/ჩაის ღირებულება (ჯერადობა – 1)	მონაწილე	19	23
10	ლანჩის ღირებულება (ჯერადობა – 1)	მონაწილე	28	34
11	სერტიფიკატის დამზადება	მონაწილე	5	6
12	მოდულის შექმნა	მოდული	1000	1200
13	მოდულის განახლება	მოდული	500	600
14	შიდა ტრანსპორტირება (მარშუტი: ცენტრი-დანიშნულების ადგილი-ცენტრი)	მარშუტი	50	60

შენიშვნა: თბილისის ადმინისტრაციულ შენობაში, ამ ცხრილით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებას ემატება ადმინისტრირების ხარჯი – 30%.

დანართი №2

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 იანვრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 27.01.2026წ.

სასწავლო ცენტრის ტერიტორიულ ორგანოში – ყვარლის სასწავლო ცენტრში გასაწევი მომსახურების საფასურები

ცხრილი №2.1 ტრენინგის, ტესტირების, სამუშაო შეხვედრისა და კონფერენციისათვის ტექნიკური მხარდაჭერისა და ორგანიზების მომსახურების საფასური				
N	მომსახურების დასახელება	ერთეულის დასახელება	სულ ღირებულება (ლარი)	
			სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისთვის	სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, გარდა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა

1	საკონფერენციო აუდიტორია – 1–10 მსმენელი	აუდიტორია	450	540
2	საკონფერენციო აუდიტორია – 11–20 მსმენელი	აუდიტორია	550	660
3	საკონფერენციო აუდიტორია – 21–30 მსმენელი	აუდიტორია	700	840
4	საკონფერენციო აუდიტორია – 31–50 მსმენელი	აუდიტორია	800	960
5	საკონფერენციო აუდიტორია – 1–180 მსმენელი	აუდიტორია	1200	1440
6	სამუშაო ოთახი – 1–10 მსმენელი	ოთახი	400	480
7	ტრენერის ანაზღაურება (არ მოიცავს ტრენერის სასტუმროში განთავსებისა და ტრანსპორტირების ხარჯებს)	საათი	100	120
8	ტრენინგის, ტესტირების კოორდინატორის მომსახურების ხარჯი (კვება, განთავსება)	დღე	270	324
9	ტესტირების კოორდინატორის მომსახურება	დღე	100	120
10	ტრენერის მომსახურების ხარჯი (კვება, განთავსება)	დღე	270	324
11	საკანცელარიო ნივთები	ცალი	10	12
12	სასწავლო/სახარჯი მასალა	მონაწილე	45	54
13	ტრენინგის შემდგომი ტესტირება	მონაწილე	12	15
14	სერტიფიკატის დამზადება	ცალი	5	6
15	ტესტირება – 1.5 საათის ხანგრძლივობის	მონაწილე	5	6
16	ტესტირება – 2 საათის ხანგრძლივობის	მონაწილე	7	8.5
17	ტესტირება – 3 საათის ხანგრძლივობის	მონაწილე	9	11
18	ტესტირება – 3 საათზე მეტი ხანგრძლივობის	მონაწილე	12	14.5
19	ტესტირება ზოგად უნარებში	მონაწილე	8	10
20	ტესტირება ქართულ ენაში	მონაწილე	21	25.5
21	უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სასერტიფიკატო გამოცდა/რესერტიფიცირება	მონაწილე	400	480

შენიშვნა: ამ ცხრილით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებას ემატება ადმინისტრირების ხარჯი – მომსახურების ხარჯის 50% (გარდა ცხრილის 21-ე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისა).

ცხრილი №2.2

სასწავლო-საცხოვრებელი კომპლექსით მომსახურების საფასური

I. სასწავლო-საცხოვრებელი კომპლექსით სარგებლობა (კვების ჩათვლით)

№	დასახელება	ერთეული	სტუმრების რაოდენობა	ერთეულის რაოდენობა	სულ ღირებულება (ლარი)	
					სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისთვის	სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, გარდა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა
1	სასტუმროს ნომერი 1-ადგილიანი (სამჯერადი კვება)	ნომერი	1	1	220	264
2	სასტუმროს ნომერი 2-ადგილიანი (სამჯერადი კვება)	ნომერი	2	1	390	468
3	სასტუმროს ნომერი 3-ადგილიანი (სამჯერადი კვება)	ნომერი	3	1	500	600
4	ყავა/ჩაი	ცალი	1	1	20	24
5	საუზმე (დამატებით)	ცალი	1	1	45	54
6	სადილი (დამატებით)	ცალი	1	1	60	72
7	ვახშამი (დამატებით)	ცალი	1	1	60	72

II. ტრანსპორტირება

(მიმართულება: თბილისი – ყვარელი – თბილისი)

№	დასახელება	მგზავრის რაოდენობა	სულ ღირებულება (ლარი)	
			სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისთვის	სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, გარდა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა
8	მსუბუქი ავტომობილი – M1 კატეგორია	3	450	540
9	მინივენი – M1 კატეგორია	6	700	840
10	მიკროავტობუსი – M2 კატეგორია	16	900	1080

11	ავტობუსი – M3 კატეგორია	28	1500	1800

დანართი №3

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 იანვრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 27.01.2026წ.

სასწავლო ცენტრის ტერიტორიული ორგანო – სააკაძის სასწავლო ბაზაზე გასაწევი მომსახურების საფასური

ცხრილი №3.1 ტრენინგის, ტესტირების, სამუშაო შეხვედრისა და კონფერენციისათვის ტექნიკური მხარდაჭერისა და ორგანიზების მომსახურების საფასური				
№	მომსახურების დასახელება	ერთეულის დასახელება	სულ ღირებულება (ლარი)	
			სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისთვის	სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, გარდა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა
1	საკონფერენციო აუდიტორია – 1–20 მსმენელი	აუდიტორია	300	360
2	საკონფერენციო აუდიტორია – 21–30 მსმენელი	აუდიტორია	400	480
3	საკონფერენციო აუდიტორია – 31–50 მსმენელი	აუდიტორია	500	600
4	საკონფერენციო აუდიტორია – 1–80 მსმენელი	აუდიტორია	600	720
5	სიმულაციების ცენტრი	შენობა	500	600
6	სამუშაო ოთახი – 1–10 მსმენელი	ოთახი	200	240
7	ნორმატივების ჩაბარებისთვის გამოყოფილი ტერიტორია	საათი	200	240
8	ნორმატივების ჩაბარების ადმინისტრირება	მონაწილე	12	15
9	ინსტრუქტორის მომსახურება	საათი	70	90
10	ტესტირება – 1.5 საათის ხანგრძლივობის	მონაწილე	5	6
11	ტესტირება – 2 საათის ხანგრძლივობის	მონაწილე	7	8.5
12	ტესტირება – 3 საათის ხანგრძლივობის	მონაწილე	9	11
13	ტესტირება – 3 საათზე მეტი ხანგრძლივობის	მონაწილე	12	14.5
14	ტესტირება ზოგად უნარებში	მონაწილე	8	10
15	ტესტირება ქართულ ენაში	მონაწილე	21	25.5
	უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი			

16	სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სასერტიფიკატო გამოცდა/რესერტიფიცირება	მონაწილე	400	480
17	ტესტირების კოორდინატორის მომსახურება	დღე	100	120
18	საკანცელარიო მასალა	მონაწილე	15	18
19	სახარჯი/სასწავლო მასალა	მონაწილე	60	72

შენიშვნა: ამ ცხრილით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებას ემატება ადმინისტრირების ხარჯი – მომსახურების ხარჯის 50% (გარდა ამ ცხრილის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისა).

ცხრილი №3.2 სასწავლო-საცხოვრებელი კომპლექსით მომსახურების საფასური					
I. სასწავლო-საცხოვრებელი კომპლექსით სარგებლობა (კვების ჩათვლით)					
№	დასახელება	ერთეული	სტუმრების რაოდენობა	სულ ღირებულება (ლარი) სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისთვის	სულ ღირებულება (ლარი) სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, გარდა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა
1	სასტუმროს ნომერი 4-ადგილიანი	პერსონა	1	200	240
2	სასტუმროს ნომერი 2-ადგილიანი	პერსონა	1	210	252
3	სამჯერადი კვება	ცალი	1	85	102
4	ყავა/ჩაი	ცალი	1	17	20.5
5	საუზმე	ცალი	1	25	30
6	სადილი	ცალი	1	30	36
7	ვახშამი	ცალი	1	30	36

II. ტრანსპორტირება (მიმართულება: თბილისი – სააკაძის სასწავლო ბაზა – თბილისი)				
	დასახელება	მგზავრის რაოდენობა	სულ ღირებულება (ლარი)	
			სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისთვის	სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, გარდა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა
8	მსუბუქი ავტომობილი – M1 კატეგორია	3	80	96
9	მინივენი – M1 კატეგორია	6	120	144

10	მიკროავტობუსი – M2 კატეგორია	16	200	240
11	ავტობუსი – M3 კატეგორია	28	300	360

დანართი №4

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 იანვრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 27.01.2026წ.

გასვლითი ტრენიგების (გარდა სასწავლო ცენტრის ტერიტორიულ ორგანოებში ჩასატარებელი ტრენინგებისა), ონლაინტრენინგების, დამკვეთის ტერიტორიაზე ჩასატარებელი ტრენინგების, ტესტირების, მათ შორის, ონლაინტესტირების პროცესის ადმინისტრირების დროს გასაწევი მომსახურების საფასური

I. ადმინისტრირების დროს გასაწევი მომსახურების საფასური				
№	დასახელება	ერთეული	სულ ღირებულება (ლარი)	
			სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისთვის	სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, გარდა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა
1	ტრენერის მომსახურება	საათი	100	120
2	საკანცელარიო მასალა	მონაწილე	15	18
3	სახარჯი/სასწავლო მასალა	მონაწილე	60	72
4	ყავა/ჩაი (ერთჯერადად), თბილისში ჩატარების შემთხვევაში	მონაწილე	19	23
5	ლანჩი (ერთჯერადად), თბილისში ჩატარების შემთხვევაში	მონაწილე	28	34
6	სერტიფიკატის დამზადება	მონაწილე	5	6
7	მოდულის შექმნა	მოდული	1000	1200
8	მოდულის განახლება	მოდული	500	600
9	შიდა ტრანსპორტირება (მარშუტი: სასწავლო ცენტრი-დანიშნულების ადგილი-სასწავლო ცენტრი)	მარშრუტი	50	60
10	სასტუმრო მომსახურება ერთი ღამე	პერსონა	230	276
11	ადმინისტრატორის მომსახურება	დღე	100	120
12	ტრანსპორტირება ქალაქ თბილისის მასშტაბით	მარშრუტი	50	60
13	შიდა ტრანსპორტირება გასვლითი ტრენინგის შემთხვევაში (თბილისის ფარგლებს გარეთ)	მარშრუტი	100	120

II. ტრანსპორტირება (მიმართულება: თბილისი – დანიშნულების ადგილი – თბილისი)				
	დასახელება	მგზავრის რაოდენობა	სულ ღირებულება (ლარი)	
			სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისთვის	სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, გარდა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა
1. დანიშნულების ადგილის თბილისიდან არაუმეტეს 70 კმ-ის დაშორებით				
14	მსუბუქი ავტომობილი – M1 კატეგორია	3	250	300
15	მინივენი – M1 კატეგორია	6	450	540
16	მიკროავტობუსი – M2 კატეგორია	16	600	720
17	ავტობუსი – M3 კატეგორია	28	800	960
2. დანიშნულების ადგილის თბილისიდან არაუმეტეს 150 კმ.-ის დაშორების შემთხვევაში				
18	მსუბუქი ავტომობილი – M1 კატეგორია	3	450	540
19	მინივენი – M1 კატეგორია	6	700	840
20	მიკროავტობუსი – M2 კატეგორია	16	900	1080
21	ავტობუსი – M3 კატეგორია	28	1500	1800
3. დანიშნულების ადგილის თბილისიდან არაუმეტეს 200 კმ-ის დაშორების შემთხვევაში				
22	მსუბუქი ავტომობილი – M1 კატეგორია	3	600	720
23	მინივენი – M1 კატეგორია	6	900	1080
24	მიკროავტობუსი – M2 კატეგორია	16	1200	1440
25	ავტობუსი – M3 კატეგორია	28	1900	2280
4. დანიშნულების ადგილის თბილისიდან არაუმეტეს 300 კმ-ის დაშორების შემთხვევაში				
26	მსუბუქი ავტომობილი – M1 კატეგორია	3	900	1080
27	მინივენი – M1 კატეგორია	6	1400	1680

28	მიკროავტობუსი – M2 კატეგორია	16	1800	2160
29	ავტობუსი – M3 კატეგორია	28	3000	3600
5. დანიშნულების ადგილის თბილისიდან არაუმეტეს 400 კმ-ის დაშორების შემთხვევაში				
30	მსუბუქი ავტომობილი – M1 კატეგორია	3	1000	1200
31	მინივენი – M1 კატეგორია	6	1500	1800
32	მიკროავტობუსი – M2 კატეგორია	16	1900	2280
33	ავტობუსი – M3 კატეგორია	28	3200	3840

შენიშვნები:

1. ამ დანართის მე-4 და მე-5 გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ გაწევის შემთხვევაში ადმინისტრაციული საზღვრიდან ყოველი 1 კმ-ის რადიუსში მომსახურების საფასურს, მონაწილეთა რაოდენობის მიუხედავად, ემატება ერთჯერადად დღეზე 1 ლარი.

2. თუ ამ დანართით გათვალისწინებული მომსახურება/ტრენინგი დამკვეთის ტერიტორიაზე (თბილისის მასშტაბით) ონლაინფორმატში ტარდება, შესაბამის საფასურს ემატება ადმინისტრირების ხარჯი – მომსახურების საფასურის 50%.

3. თუ ამ დანართით გათვალისწინებული მომსახურება/ტრენინგი თბილისიდან არაუმეტეს 30 კმ-ით დაშორებულ ტერიტორიაზე ტარდება, შესაბამის საფასურს ემატება ადმინისტრირების ხარჯი – მომსახურების საფასურის 100%.